

სასაწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტის სამდივნოს

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სასაწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტის (შემდგომში - „ვიცე-პრეზიდენტი“) სამდივნო (შემდგომში – „სამდივნო“) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულია. სამდივნოს ფუნქციები, სტრუქტურა და მართვის ორგანიზაცია განისაზღვრება ამ დებულებით.
2. სამდივნო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით, წინამდებარე დებულებით და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი აქტებით.
4. სამდივნო უშუალოდ ექვემდებარება უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.
5. სამდივნო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თანამშრომლობს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან.

მუხლი 2. სამდივნოს მიზნები

1. სამდივნოს საქმიანობის ძირითადი მიზნია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტს უფლებამოსილების განხორციელებაში, ასევე ხელი შეუწყოს ვიცე-პრეზიდენტის საქმიანობას უნივერსიტეტის კოორდინაციული მუშაობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 3. სამდივნოს ფუნქციები

1. სამდივნოს ფუნქციებია:
 - ა) უზრუნველყოს ეფექტური კომუნიკაცია უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტსა და უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებსა და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის;
 - ბ) უზრუნველყოს ვიცე-პრეზიდენტის საქმიანი კორესპოდენციის მართვა;
 - გ) განახორციელოს პირველი ვიცე-პრეზიდენტის საქმიანი აქტივობების ორგანიზება.

მუხლი 4. სამდივნოს სტრუქტურა და მართვა

1. სამდივნოს ხელმძღვანელობს ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრეზიდენტი ვიცე-პრეზიდენტის წარდგინებით. თანაშემწე ანგარიშვალდებულია ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.
2. სამდივნოში შედიან ვიცე-პრეზიდენტის მრჩეველი (მრჩეველები), ასევე ხელშეკრულებით მოწვეული სხვა პირები, რომლებსაც ვიცე-პრეზიდენტის წარდგინებით თანამდებობაზე

ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრეზიდენტი. ისინი ანგარიშვალდებულნი არიან ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.

მუხლი 5. უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწე

1. უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწე უფლებამოსილია:

- ა) ხელი შეუწყოს ვიცე-პრეზიდენტს უფლებამოსილებების განხორციელებაში;
- ბ) კოორდინირება გაუწიოს ვიცე-პრეზიდენტსა და უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებსა და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაციას;
- გ) ვიცე-პრეზიდენტის დავალებით მოსთხოვოს უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს ინფორმაციის წარმოდგენა;
- დ) ვიცე-პრეზიდენტთან შეთანხმებით აწარმოოს საქმიანი ურთიერთობა უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და მესამე პირებთან;
- ე) აწარმოოს ვიცე-პრეზიდენტის დღის წესრიგი;
- ვ) განახორციელოს ვიცე-პრეზიდენტის სამსახურეობრივი შეხვედრების ორგანიზება;
- ზ) აწარმოოს ვიცე-პრეზიდენტის პირადი კორესპონდენცია;
- თ) დაიცვას კონფიდენციალობა;
- ი) შეასრულოს ვიცე-პრეზიდენტის ცალკეული დავალებები.

2. ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობის შემსრულებელს, სხვა მის დაქვემდებარებაში მყოფი დამხმარე სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა შემადგენლობიდან ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ბრძანებით განსაზღვრავს უნივერსიტეტის პრეზიდენტი ვიცე-პრეზიდენტი წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 6. ვიცე-პრეზიდენტის მრჩეველი

1. ვიცე-პრეზიდენტის მრჩეველი როგორც წესი ახორციელებს ვიცე-პრეზიდენტის მხარდაჭერას და კონსულტირებას მის უფლებამოსილებაში შემავალი მნიშვნელოვანი საკითხის/პრობლემის განსახორციელებლად.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. ვიცე-პრეზიდენტის სამდივნოს დებულების მიღება და მასში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხორციელდება ვიცე-პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.